ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7417453

ნომერი: AR11078372

თარიღი : 17.02.2025

გაცემის თარიღი : 19.03.2025

გაცნობის თარიღი : 19.03.2025

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა, N 144ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკა კემულარია პ/ნ 62005000668
- ოჩამჩირე ფ.ენგელსის ქ. N 22

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- " "
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2025 წლის 17 თებერვლის AR11078372 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა N 144 ა. -ში (ძეგლი) არსებული შენობებზე სარეკონსტრუქციო/სარეაბილიტაციო სამუშაოების და ერთი ახალი შენობის მშენებლობის განხორციელების ესკიზის წინასწარი შეთანხმების საკითხს.

წრმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დაგეგმილია ძეგლის რეაბილიტაცია, ასევე მის ტერიტორიაზე არსებული შენობის რეკონსტრუქცია და ახალი შენობის განთავსება.

იმისათვის რომ სამსახურს მიეცეს საკითხზე შემდგომი მსჯელობის შესაძლებლობა, საჭიროა სამსახურს მომართოთ ცალ-ცალკე განცხადებით და წარმოადგინოთ კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების გათვალისწინებით დამუშავებული საპროექტო დოკუმენტაცია.

საკითხის განსახილველად უნდა მიმართოთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, მდებარე, ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.#4.